



საქართველოს დიპლომატიის,
ნეფროლოგიისა და თირკმლის
ტრანსპლანტაციის კავშირი

№3 მაისი-ივნისი 2006

ნეფროლოგია

აქტუალური საკითხები

თბილისი 2006

სარჩევი

1. გლომერულური დაავადებების ზოგადი მიმოხილვა	5
2. მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტი	16
3. ანტიკოაგულაცია ხანგამოშვებითი და უწყვეტი პელოდიალიზის დროს	26
4. პაციენტის მართვა ადრეულ პოსტრანსპლანტაციურ პერიოდში	34
5. ინტექტური პარათორმონის (პოპ) მანევრებზე დაყრდნობით ვატამინ სტეროლის გამოყენება	43

სარედაქციო ჯგუფი



ირმა ჭოხონელიძე, საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და
თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირის თავმჯდომარე
აფთხანდილ თათარაძე
ნინო მაღლაკელიძე
თინათინ დავითაია

წინამდებარე გამოცემა იწყება გლომერულური (ან გორგლოვანი) დაავადებების ზოგადი მიმოხილვით, რომელიც წარმოადგენს შესავალს თირკმლის გორგლოვანი დაზიანების მნიშვნელობის გასაგებად. სწორედ ფილტრაციული ბარიერის გზაზე არსებული მორფოლოგიური ცვლილებები განსაზღვრავს გორგლოვანი დაავადების სახელწოდებას, კლინიკურ მიმდინარეობასა და პროგნოზს. „გრომელურული დაავადებების ზოგად მიმოხილვაში“ მოყვანილია გამარტივებული წარმოსახვითი მორფოლოგიური სურათები გორგლის აგებულებისა და დაზიანების ლოკალიზაციის სანეწებლად, ასევე მოკლედ არის მოხსენიებული იმ გორგლოვან დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც ყველაზე უფრო მეტი სისშირით გვხვდება ამა თუ იმ კლინიკური სინდრომის დროს. თითოეულ მომდევნო ნომერში კი ცალკეული გლომერულური დაავადება სრულყოფილად იქნება განხილული.

გლომერულური დაავადებების ზოგადი მიმოხილვა

გლომერულური დაავადებების უმრავლესობა კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით ორი ძირითადი სინდრომის, ნეფროზული და ნეფრიტული, ქვეშ შეიძლება გაერთიანდეს. ნეფროზულ სინდრომად მიიჩნევენ მაღალი ხარისხის პროტეინურიას > 3.5 გ/დღე-ღამეში, რომელსაც თან სდევს გამოხატული პიპოალბუმინემია და პიპერლიპიდემია. ნეფრიტული სინდრომის დროს პროტეინურია < 3.5 გ/დღე-ღამეში, რასაც თან ახლავს სხვადასხვა ხარისხის გორგლოვანი წარმოშობის პემატურია. პიპერტონია და გლომერულური ფილტრაციის სიჩქარის დაქვეითება ორივე მათგანისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ მნიშვნელოვნად ჭარბობს ნეფრიტული სინდრომის დროს.


ამ ორი სინდრომისგან დამოუკიდებლად გამოყოფენ ე.წ. იზოლირებული შარდის სინდრომს, რომლის დროსაც თირკმლის დაავადების ერთდერთი გამოვლინება იზოლირებული პემატურიაა, ხოლო თირკმლის ფუნქცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელი რჩება. ასევე აღსანიშნავია პათოლოგია, რომლის დროსაც ადგილი აქვს თირკმლის ფუნქციის პროგრესულ დაქვეითებას შარდის სინდრომის გარეშე. აღნიშნულ პროცესს თან ახლავს პიპერტონია, რომლის ეტიოლოგია წლების განმავლობაში უცნობი რჩება. აღნიშნული კლინიკური სინდრომები 7 ძირითადი პათომორფოლოგიური სურათის სახით გვხვდება. აქედან გამომდინარე, გლომერულური დაავადების ზუსტი ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია ნეფროლოგისა და პათომორფოლოგის ერთობლივი მოსაზრება ანუ კლინიკური და მორფოლოგიური სურათის ერთ ჭრილში მოქცევა.



გორგლოვანი კაპილარული ქსელი მარადდება აფერენტული და ეფერენტული არტერიოლებით. მეზანგიუმი ქმნის გორგლოვანი მარყუქების საყრდენს.

პათომორფოლოგიური ცვლილებები გორგლის ფილტრაციული ბარიერის მთლიანობას არღვევს. ეს უკანასკნელი სამი კომპონენტისაგან შედგება: 1. ფენესტრირებული ენდოთელური უჯრედები, 2. გლომერულური ბაზალური მემბრანა და 3. პოდოციტები. შესაბამისად, კლინიკური სინდრომის სახეობა გორგალში მორფოლოგიური დაზიანების ლოკალიზაციით განისაზღვრება:

ნეფრიტული სინდრომის დროს ანთებითი რეაქცია მოიცავს ენდოთელს, თირკმლის



ფუნქცია ქვეითდება, პროტეინურია საშუალო ხარისხისა.

ნეფროზული სინდრომის დროს დაზიანება პოდოციტის ღრუზე.

პემატურიის დროს დაზიანება შემოიფარგლება მეზანგიუმით.

ნეფროზული სინდრომი

ნეფროზულ სინდრომს თითქმის ყოველთვის საფუძვლად პოდოციტის დაზიანება უდევს. პოდოციტი მისი ფეხისებრი წანაზარდებით გარედან შემოსაზღვრავს მარწყვებს. მეზობელ ფეხისებრ წანაზარდებს შორის სივრცე წარმოდგენილია თხელი ე.წ. ნაპრალოვანი მემბრანით.

ნაპრალოვანი მემბრანის შემადგენლობაში შემავალი ცილების მუტაცია საფუძვლად უდევს ნეფროზული სინდრომის მექანიზმური ფორმების განვითარებას.

ნეფროზული სინდრომის დროს ნაპრალოვანი მემბრანა "ქრება" და პოდოციტის ფეხისებრი წანაზარდები გადასწორებულია.

ნეფროზული სინდრომით შეიძლება გამოვლინდეს: 1. ე.წ. პირველადი გლომერულური დაავადებები, რომლებიც ხასიათდებიან მხოლოდ პოდოციტების სელექტიური დაზიანებით - მინიმალური ცვლილებების გნ და ფოკალურ-სეგმენტური გლომერულოსკლეროზი; ასევე მემბრანული გნ, რომლის დროსაც დაზიანება პაზალური მემბრანიდან იწყება და არა პოდოციტზე პირდაპირი ზემოქმედებით; 2. სისტემური დაავადებების ფონზე განვითარებული გლომერულოპათიები, (მაგ., შაქრიანი დიაბეტი, ამილოიდოზი, მსუბუქი ჯაჭვების დაავადება, ლუპუს ნეფრიტი და სხვ.), რომელთა დროსაც დაზიანება მხოლოდ პოდოციტებით არ შემოიფარგლება.

მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტი (მცენ)

ბავშვთა ასაკში (1-6 წელი) ნეფროზული სინდრომის ძირითადი მიზეზია მინიმალური ცვლილებების გნ. აღნიშნული პათოლოგია ნეფროზული სინდრომით მოზრდილ პაციენტთა მხოლოდ 10% ვლინდება. არჩევენ პირველად (იდიოპათიურ) და მეორად მინიმალური ცვლილებების გნ-ს. მეორადი ფორმების

პირველადი მცენ (იდიოპათიური)

მეორადი მცენ

○ ლიმფომა (პოჯკინის)

○ მედიკამენტები (არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტები, ლითიუმი, ამპიცილინი, რიმფაშიპინი, ინტერფერონი)

დროსაც კი ნეფროზული სინდრომის ზუსტი მოლეკულური გენეზი უცნობია. ითვლება, რომ მცენ წარმოადგენს ციტოკინების ჭარბი გამონთავისუფლების შედეგს, რასაც თან სდევს პოდოციტების დაზიანება. როგორც წესი, მცენ-ს დროს სინათლის მიკროსკოპითა და იმუნოჰისტოქიმიით თვალსაჩინო ცვლილებები არ ვლინდება (“მინიმალური ცვლილებები”). ელექტრონული მიკროსკოპით აღვილი აქვს ფეხისებრი წანაზარდების გადასწორებას.



მემბრანული გლომერულონეფრიტი (მგნ)

მოზრდილებში (30-50 წელი) მემბრანული გლომერულონეფრიტი ნეფროზული სინდრომის ძირითადი მიზეზია. პირველადი (იდოპათიურ) მგნ-ს სიხშირე > 60%, მეორადი ფორმა კი თითქმის 30%. მგნ წარმოადგენს იმუნოკომპლექსურ დაავადებას.

- პირველადი მგნ (იდოპათიური)**
- მეორადი მგნ**
- აუტოიმუნური (სისტემური წითელი მგლურა, რევმატიდური ართრიტი)
 - ინფექციები (ჰეპატიტი, სიფილისი, მაღარი)
 - მედიკამენტები (კაპტოპრილი, ოქრო)
 - ავთვისებიანი პროცესები (კარცინომა, ლიმფომა)



მიკროსკოპით ვლინდება ბაზალური მემბრანის სისქის მატებაში (მაგ. ტუბულურ ბაზალურ მემბრანასთან შედარებით).

იმუნოფლოუoresცენციით ვლინდება IgG -ს გრანულური დეპონირება გლომერულური ბაზალური მემბრანის გასწვრივ. ელექტრონული მიკროსკოპია უშუალოდ ავლენს იმუნური კომპლექსების ჩალაგებას.

მგნ პათოგენეზში გადამწყვეტია იმუნური კომპლექსების სუბეპითელური დეპონირება (პოდოციტსა და ბაზალურ მემბრანას შორის). იმუნური კომპლექსები ფორმირების მექანიზმი და მათი ბმ-ში ჩალაგება დისკუსიის საგანია: 1. მოცირკულირე აუტოანტისხეულები შეიცნობენ პოდოციტებზე არსებულ ანტიგენებს; თუ 2. ეგზოგენური ანტიგენები ჯერ ლაგდებიან პოდოციტებზე და შემდგომ in situ უკავშირდებიან მათ ანტისხეულები; თუ 3. ადგილი აქვს უკვე მოცირკულირე ანტიგენ-ანტისხეულების კომპლექსების ტრანსპორტირებას ადნინუნულ ზონაში. იმუნური კომპლექსების ჩალაგება სინათლის






მოგვიანებით კი, მგნ-ის III, IV სტადიებზე, ბაზალური მემბრანა მთლიანად მოიცავს იმუნურ კომპლექსებს, რაც ელექტრონული მიკროსკოპით ორმაგი კონტურით ანუ ე.წ. "ტრამეაის ხაზის" სახით ელინდება.


ფოკალურ-სეგმენტური გლომერულოსკლეროზი (ფსგს)

მოზრდილებში ნეფროზული სინდრომის მეორე და ყველაზე ხშირ მიზეზს პირველადი



ფსგს წარმოადგენს. აღნიშნული დაავადების პათოგენეზს, მცნ-ის ანალოგიურად, საფუძველად T-უჯრედული იმუნიტეტის დისფუნქცია უდევს, რაც განაპირობებს პოლოციტოქსიური ციტოკინების გამონთავისუფლებას. მოგვიანებით ფსგს-ის წინაპარდები კარგავენ თავიანთ ფორმას. ადრეულ სტადიაში სინათლის მიკროსკოპით ფსგს-ს დროსაც გორგლები შეიძლება ერთი შეხედვით შეუცვლელი იყოს. (1). მოგვიანებით დაზიანება ღრმადდება და ხანგრძლივდება, პოლოციტების დაზიანებასთან ერთად მრავლდება მეზანგიური მატრიქსი (2) პოლოციტების დაზიანება შეუქცევადია და მთავრდება მათი სრული განადგურებით (3).

პოლოციტების აპოფტოზი ერთეულ კაპილარულ მარწყუმში იწვევს პიალინური მასალის (სავარაუდოდ პლაზმის შემაღვნილი ცილები) ფოკალურ დეპონირებას ამ უბნის შემდგომი დასკლეროზებით (4). თავდაპირველად, პროცესი ფოკალურია (მოიცავს მხოლოდ ერთეულ გორგალს) და სეგმენტური (გორგლის შიგნით მხოლოდ ერთეული კაპილარული სეგმენტი დაინტერესებული).



სინათლისა და ელექტრონული მიკროსკოპით მეორადი ფოკალურ-სეგმენტური გლომერულოსკლეროზის პირველადი ფორმებისაგან დიფერენცირება ეერ ხერხდება, მათ შორის სხვაობა პათოგენეზისა და კლინიკური გამოვლინების მხრივ აღინიშნება. მეორადი ფსგს დროს ადგილი აქვს სხვადასხვა მიზეზით ნეფროზთა ფოკალურ განადგურებას (რეფლუქსი, სისტემური წითელი მგლურას, IgA ნეფროპათიის, პემოლიზურ-ურემიული სინდრომის დროს), ხოლო გადარჩენილ (პირველადად დაუზიანებელ) ნეფრონებში

საბოლოოდ ფსგს ვითარდება, რაც პიპერპერფუზიით არის განპირობებული. ასეთ დროს პროტეინურია, როგორც წესი, ზომიერია (<1-2 გ/დღე-ღამეში) და ნეფროზული სინდრომი არ ვითარდება. პირველადი ფსგს-გან განსხვავებით, რომელიც უპირატესად ნეფროზული სინდრომითა და თირკმლის ფუნქციის პროგრესული კარგვით ხასიათდება, მეორადი ფსგს-ს დროს თირკმლის ფუნქცია შენარჩუნებულია წლების განმავლობაში.

ამგვარად, ყოველივე ზემოთ ნათქვამის შეჯამებიდან გამომდინარე:

პირველადი გლომერულური დაავადებებიდან ნეფროზული სინდრომით მიმდინარეობს სამი:

1. მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტი
2. მემბრანული გლომერულონეფრიტი
3. (პირველადი) ფოკალურ-სეგმენტური გლომერულოსკლეროზი



ამ პათოლოგიათა პათოგენეზი ბოლომდე არ არის გარკვეული: მცგნ და ფსგს დროს ადიგილი აქვს ციტოკინების გამონთავისუფლებას; მემბრანული გლომერულონეფრიტის დროს, იმუნური კომპლექსები სუბეპითელურად ლაგდება. სამივე პათოლოგიისათვის დამახასიათებელია პოდოციტების დიფუზური დაზიანება: პოდოციტები დამზიანებელ აგენტზე რეაგირებენ ფეხისებრი წანაზარდების გასაღავეებით (მაგ., მინიმალური ცვლილებების დაავადება). ხანგრძლივი ან მნიშვნელოვანი დაზიანების შემთხვევაში პოდოციტები იკარგება (მაგ., ფსგს დროს).

სისტემური პათოლოგიების დროს განვითარებული ნეფროზული სინდრომი ხასიათდება პოდოციტებთან ერთად სხვა უჯრედებისა და ქსოვილების დაზიანებით. ეს ცვლილებები ვლინდება მრავლობითი იმუნო კომპლექსების ჩაღაგებით (მაგ. სისტემური წითელი მგლურა) ან გარკვეული სიმკვრივის პროტეინების დეპონირებით (მაგ., ამილიოიდოზი) გორგლის სხვადასხვა ნაწილში.


ნეფრიტული სინდრომი

ნეფრიტული სინდრომით მიმდინარე პათოლოგიები პირობითად სამი დაავადების ქვეშ შეიძლება გაერთიანდეს: პოსტინფექციური გლომერულონეფრიტი,


ჰეზანგიოპროლიფერაციული გლომერულონეფრიტი და სწრაფად პროგრესირებადი გლომერულონეფრიტი.

პოსტინფექციური გლომერულონეფრიტი (პიგნ)

პოსტინფექციური გლომერულონეფრიტი (ექსუდაციური, პროლიფერაციული), მემბრანული გლომერულონეფრიტის მსგავსად, იმუნუკომპლექსური დაავადებაა. თუმცა პოსტინფექციური გლომერულონეფრიტის დროს იმუნური კომპლექსების წარმოქმნას ბაქტერიული ინფექციები იწვევენ - ჯგუფის β-ჰემოლიზური სტრეპტოკოკი (1,2,4,12=ფარინგიტი, 18,25,49=იმპეტიგო), პნევმოკოკები, სტაფილოკოკები. პიგნ-ს დროს იმუნური კომპლექსები მგნ-ს განსხვავებით, რომლის დროსაც იმუნური კომპლექსები სუბეპითელურად - პოდოციტსა და გლომერულურ ბაზალურ მემბრანას შორის არის განლაგებული, სუბენდოთელი ურად ენდოთელსა და გლომერულურ ბაზალურ



მემბრანას შორის ღაღდება. აქ იმუნური კომპლექსები კომპლემენტსა და ნეიტროფილურ გრანულოციტებს უკავშირდებიან და იწვევენ მათ აქტივაციას, რაც აღნიშნული დაავადების დროს ტიპურ



(ექსუდაციურ) ანთებით რეაქციას განაპირობებს.

ანთებითი პროცესი იწვევს გლომერულურ ბაზალური მემბრანის დაზიანებასა და წარმოქმნილი ნაპრალეებიდან ერითროციტების ბოუშენის კაფსულაში გადასვლას. ერითროციტები მილაკების სანათურში უკავშირდებიან თამპორსფალის პროტეინსა და წარმოიქმნება ნეფრიტული სინდრომისათვის

მემბრანო-პროლიფერაციული გლომერულონეფრიტი (მპგნ)

მემბრანო-პროლიფერაციული გლომერულონეფრიტი, ისევე როგორც მემბრანული ან პოსტინფექციური გლომერულონეფრიტი, იმუნოკომპლექსური დაავადებაა. იმუნური კომპლექსების ჩალაგება მეზანგიუმ/ენდოთელის საზღვარზე შეიძლება განაპირობებდეს:



მეზანგიურ უჯრედთა გამრავლების სტიმულაციას, პოლიციტების დაზიანებას (მემბრანული გლომერულონეფრიტი) ან კომპლემენტისა და ლეიკოციტების ნაერთის გააქტივებას (პოსტინფექციური გლომერულონეფრიტი).

მპგნ-ს დროს ადგილი აქვს (სურათი მარცხნივ) მეზანგიური ნივთიერების ექსპანსიას ენდოთელურ უჯრედებსა და გლომერულურ ბაზალურ მემბრანას შორის. ენდოთელური უჯრედები ქმნიან „მეორე“ ბაზალურ მემბრანას (სურათი ცენტრში), რაც სინათლის მიკროსკოპით ორმაგი კონტურის სახით (სურათი მარჯვნივ) ვლინდება. ორმაგკონტურიანი ბაზალური მემბრანა შეიძლება ჩამოყალიბდეს მემბრანული, მემბრანო-პროლიფერაციული გლომერულონეფრიტისა და თრომბოზული მიკროანგიოპათიის დროს. გლომერულურ ბაზალურ მემბრანაში გავრცელებული პროცესი საბოლოოდ პოლიციტებსაც მოიცავს, რასაც თან მათი ფეხისებრი წანაზარდების გადასწორება მოსდევს. მანამ, სანამ პროცესი პოლიციტების უხეშ დაზიანებამდე მივა, კლინიკურად ზემოთ აღწერილი პროცესები ნეფრიტული სინდრომით ვლინდება, ზოლო კლინიკურად ნეფროზული სინდრომის აღმოცენება დაზიანების პოლიციტებზე გავრცელების მანიშნებელია.

არჩევენ მემბრანოპროლიფერაციული გლომერულონეფრიტის სამ ტიპს: I ტიპი ყველაზე ხშირია და ხასიათდება იმუნური კომპლექსების ჩალაგებით მეზანგიუმსა და სუბენდოთელურ სივრცეში (ლუპუსი, C კეპატიტი); II ტიპი ხასიათდება C_3 - კონვერტაზას მიმართ ე.წ. მასტობილირებადი






აუტოანტიტის ხელშეწყობის წარმოქმნით, კომპლემენტის კასკადის ალტერნატიული გზით გააქტივებითა და ბაზალურ მემბრანაში ელექტრონულად მკვერივი კომპლექსების წარმოქმნით; III ტიპის დროს ადგილი აქვს იმუნური კომპლექსების წარმოქმნას მეზანგიუმში, სუბენდოთელურად და სუბეპითელურად.


ს წ რ ა ფ ა დ
პროგრესირებადი გლომერულონეფრიტი (სპგნ)

ს წ რ ა ფ ა დ
პროგრესირებადი გლომერულონეფრიტის ქვეშ იგულისხმება გორგალში განსაკუთრებული სიმძიმით მიმდინარე ანთებითი პროცესი, რომელიც იწყება შვავედ. მაგრამ შეიძლება გადაიზარდოს ქვეშვავედ მიმდინარეობაში და ხასიათდება ე.წ. „ნახევარმთვარეების“ ფორმირებით. აღნიშნული „ნახევარმთვარეები“ წარმოიქმნება პარიეტული ეპითელური უჯრედების ექსტრააკაპილარული პროლიფერაციის (ანთების) გზით და ავსებენ ბოუმენის კაფსულის სივრცეს, რაც უხეშად არღვევს გლომერულური მარყუქების მთლიანობას. ითვლება, რომ „ნახევარმთვარეების“ წარმოქმნას ასტიმულირებს ბაზალურ მემბრანის რუბტურის შედეგად სისხლში მოცირკულირე დეიოციტების ბოუმენის სივრცეში გაღწევა, რასაც თან სდევს პროლიფერაციური პროცესების აქტივაცია.



1. გუდაპასნერის სინდრომი,
2. იმუნურ-კომპლექსური დაავადებები მძიმე მიმდინარეობით (მაგ., პოსტინფექციური გლომერულონეფრიტი, ლუპუს ნეფრიტი, IgA - ნეფროპათია),
3. პაუნი-იმუნური დაავადებები (ვასკულიტები: ვეგენერის გრანულომატოზი, მიკროსკოპული პოლიანგიტი).

არჩევენ სპგნ-ს სამ ფორმას:



გუდპასჩერის სინდრომი

დაავადება განპირობებულია აუტოანტისხეულებით, რომელიც მიმართულია გლომერულური ბაზალური მემბრანის IV ტიპის კოლაგენის 3 ჯაჭვის მიმართ. გამწვავებულია მექანიზმის სშირად წარმოადგენს ვირუსული ინფექცია, ნაწიროწყალბადის შეკავშირება, თამბაქო, ლიმფომა. გუდპასჩერის სინდრომი შეიძლება განვითარდეს თირკმლის ტრანსპლანტაციის შემდეგ ალპორტის სინდრომით დაავადებულის ორგანიზმში ახალი კოლაგენ-ანტიგენის ფორმირების გამო.



გუდპასჩერის სინდრომის დროს ადგილი აქვს ანტი-GBM ანტისხეულების ხაზოვან ჩაღებებას გორგლოვანი კაპილარის კედლის გასწვრივ. ეს განპირობებს კომპლემენტის და ლეიკოციტების აქტივაციას და მიიწვევს ანთებითი რეაქციის განვითარებას. მიუხედავად კომპლემენტის C_3/C_4 და შესაბამისად CH50 შეკავშირების, სისხლში მათი კონცენტრაცია ნორმალურია, რაც პროცესის ლოკალურ მიმდინარეობაზე მიუთითებს.

იმუნოკომპლექსური დაავადება

გლომერულური დაავადებების დროს იმუნური კომპლექსების სუბენდოთელურმა ჩაღებებამ შეიძლება გამოიწვიოს ნეკროზული გლომერულონეფრიტის ჩამოყალიბება. მაგალითად, პოსტინფექციური გლომერულონეფრიტი, რომელიც ჩვეულებრივ შედარებით გაურთულებელი მიმდინარეობით ხასიათდება (ნახევარ-მთვარეების გარეშე), რიგ შემთხვევაში მიიწვევს კლინიკური სურათით ვლინდება, რომლის მკურნალობა უკვე აგრესიულ იმუნოსუპრესიულ ჩარევას მოითხოვს (მეთილპრედნიზოლონის პულსური დოზები, ციკლოფოსფამიდი). ასეთ იმუნოკომპლექსურ დაავადებებს, რომელთა დროსაც მიმდინარეობს ნახევარმთვარეების ფორმირება და ადგილი აქვს გლომერულური ფილტრაციის სიჩქარის პროგრესულად სწრაფ დაქვეითებას, ასევე მიეკუთვნება მგლურას ნეფრიტი და IgA-ნეფროპათია.

ვასკულიტი

წერილ სისხლძარღვთა ანთებითმა დაზიანებამ, რომელიც გლომერულურ კაპილარებსაც მოიცავს, ანალოგიურად შეიძლება განაპირობოს ნეკროზული გლომერულონეფრიტის განვითარება.

წერილი ფალების სისხლძარღვთა ვასკულიტი

- ვეგენერის გრანულმატოზი
- ჩარგ-შტრაუსის სინდრომი
- მიკროსკოპული პოლიანგიტი
- პენოპ-მონლაინის პურპურა
- ესენციური კრიოგლობულინემიური ვასკულიტი
- კანის ლეიკოციტოკლასური ანგიტი

საშუალო ფალების სისხლძარღვთა ვასკულიტი

- ნოდოზური (კვანძოვანი) პოლიარტერიტი
- კავასაკის დაავადება

მსხვილი ფალების სისხლძარღვთა ვასკულიტი

- გეოანტრუგერულ (ტემპორალური) არტერიტი
- ტაკაიასუს არტერიტი

ამ დაავადებათა დროს არ აღინიშნება იმუნური კომპლექსების ჩაღაგება, ამიტომ მათ მოიხსენიებენ როგორც პაუზი – (ნაკლები) იმუნური გლომერულონეფრიტები. ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება უმნიშვნელო რაოდენობით IgG, IgM და C₃ (შრატის შემადგენელი ნაწილები) არასპეციფიური ჩაღაგება. აღნიშნული დაავადებების განვითარების მიზეზი არ არის ცნობილი. თირკმლის იშემიურ დაზიანებას უფრო ხშირად მსხვილსისხლძარღვთა ვასკულიტები განაპირობებენ.

აუტოანტისხეულები მიმართულია გრანულოციტების ანტიგენების მიმართ. აღნიშნულ ე.წ. ანტინეიტროფილურ ციტოპლასმურ ანტისხეულებს (ANCA) შესწევთ გრანულოციტების აქტივაციის უნარი. თუმცა მათი პათოგენეზური მნიშვნელობა ბოლომდე შესწავლილი არ არის, სისხლში მათი კონცენტრაციის განსაზღვრა მაღალი ღირებულების დიაგნოსტიკური მნიშვნელობის მატარებელია. შედეგების თავისებურებების მიხედვით გამოყოფენ ორი ტიპის ანტინეიტროფილურ ციტოპლასმურ ანტისხეულებს: პერინუკლეური ANCA (p-ANCA) და ციტოპლასმური ANCA (c-ANCA). თირკმლის დაავადებების დროს (მაგ., მიკროსკოპული პოლიანგიტი) სკარბოზის მიელოპეროქსიდაზას მიმართ მიმართული p-ANCA;


ანტინეიტროფილური ციტოპლასმური ანტისხეულები (ANCA)

c (ციტოპლასმური) ANCA	პროტეინა 3
p (პერინუკლეური) ANCA	მიელოპეროქსიდაზა
	ელასტაზა
	a – ჯოღბა
	ლეიტოფერინი
	გამაგლობის ზრის ცილა
	h Lamp-2
	კატეპსინ G

	ანტი-პაპ	C ₃ C ₄	ANCA
გულისმანერის სინდრომი	+	ნორმა	ნორმა
იმუნარ- კომპლემენტი	ნორმა	↓	ნორმა
პასპალიტი	ნორმა	ნორმა	+

სწრაფად პროგრესირებადი გლომერულოპათიის ერთმანეთისაგან შეიძლება სეროლოგიური მონაცემებითაც გაიმიჯნოს: ანტი-GBM ანტიხედილობით გულისმანერის სინდრომისათვის არის დამახასიათებელი, მაშინ როდესაც C3/C4 (CH50)-ის დაქვეითება იმუნარკომპლექსურ დაავადებაზე შეუძველებს, ხოლო ANCA-ს ტიტრის მატება ვასკულიტის დიაგნოზზე მიანიშნებს.

იზოლირებული სიმპტომი: პემატურია IgA-ნეფროპათია



იზოლირებული გლომერულური პემატურიის წამყვან მიზეზს IgA-ნეფროპათია წარმოადგენს. ხაუნის სტადიაზე IgA-ნეფროპათია ხასიათდება IgA- შემცველი იმუნური კომპლექსების მეზანგიუმში ჩალაგებით. აღნიშნული იწვევს მეზანგიუმის სტრუქტურისა და მეზანგიური უჯრედების პროლიფერაციას. სინათლის მიკროსკოპით შესაძლებელია

მეზანგიუმში გამრავლებულ უჯრედთა რაოდენობის დადგენა. რატომ და როგორ იწვევს პემატურიას აღნიშნული მეზანგიური რეაქცია, უცნობია.

გამოყენებული ლიტერატურა:

Prof. Dr Thomas Benzing, Pd Dr. med. Frank Eitner, PD Dr. Karl-Georg Fischer, PD Dr. Joachim Gloy, Dr. Wolfgang kuhn at all, Glomerulare Erkrankungen. Munster 2006.

მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტი

მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტი (მკენ) თირკმლების ერთ-ერთი ქველაზე ხშირი დაავადებაა. ბავშვებში მკენ-ით განპირობებულია ნეფროზული სინდრომის შემთხვევათა 90%, ხოლო მოზრდილებში – 10-25%.

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, მკენ და ფოკალურ-სეგმენტური გლომერულოსკლეროზი (ფსგს) ერთი და იმავე დაავადების სხვადასხვა გამოვლენაა თუ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი პათოლოგია. ამის მიხედვით გამოყოფენ ორ თეორიას – უნიტარულსა და პლურალისტრულს. უნიტარული თეორიის მომხრეები თვლიან, რომ მკენ და ფსგს ერთი და იმავე დაავადების სხვადასხვა სტადიაა. ამის დასტურად შეიძლება წათვალის იხ ფაქტი, რომ თირკმლის ტრანსპლანტატში ფსგს-ის რუკადების დროს ხშირია მკენ-ისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური სურათი. გარდა ამისა, ადრეულ სტადიაზე მკენ და ფსგს დროს აღებული ბიოფსური მასალები ხინათლის მიკროსკოპით ერთმანეთისგან არ განირჩევა.

ამის საპირისპიროდ, პლურალისტური თეორიის მომხრეები მიიჩნევენ, რომ მკენ და ფსგს ორი სხვადასხვა დაავადებაა.

მკენ შეიძლება იყოს პირველადი და მეორადი. მეორადი მკენ შემთხვევათა მხოლოდ 10%-ში გვხვდება და სხვადასხვა ეტიოლოგიური ფაქტორით არის განპირობებული, რასაც ქვემოთ უფრო დავწილებით გვექმება საუბარი. შემთხვევათა 90%-ში მკენ პირველადია.

ეტიოლოგია და პათოგენეზი

მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტის ეტიოლოგია და პათოგენეზი ზოლომდე გარკვეული არ არის, თუმცა კარგადია ცნობილი, რომ ძირითადი პათოფიზიოლოგიური მექანიზმი პოლიკიტების დაზიანებაა. თანამედროვე შესწავლებით, პოლიკიტი სხვადასხვა ცილებისაგან, მათ შორის პოლიცინის, F-აქტინის, α-აქტინ-4-ის და ნეურინისაგან შედგება. ზემოთ ხსენებული ცილების სტრუქტურა შეიძლება შეიცვალოს გენეტიკური ან შეძენილი ფაქტორების ზემოქმედებით, რასაც თან ახლავს პროტეინურიის განუთარება. მკენ-ის დროს გლომერულების ბაზალურ მემბრანაში აღინიშნება სიღის მკაფის დეფიციტი, რაც იწვევს მემბრანის დაღებულად გადაშენებას, ეს კი, თავის მხრივ, უარყოფითად დამცხველი შრატის ცილების (მაგ. ალბუმინი) კარგავს განპირობებს.

თვლება, რომ სტრუიდ-სენსიტიური ნეფროზული სინდრომის გენეზში წაყვანილი სისხლში მოციტრკულე ანთებით მედიატორებს ენიჭება. ამის დასტურია იმუნოპრეპარატებით მკურნალობის ეფექტურობა ახლე მკენ-ის აღმოცენება ზოგჯერ აუთოიუმბანი სიმსივნის (სოკ-ის დიფიზია, არასოკ-იკური დიფიზია, ქრონიკული დიფიციტური დიკეზია, ბრონქოკარცინომა, ვადღენსტრემის მკროვლოზიდინეზია და სხვ) ფონზე, რომელთა დროსაც ჭარბად გამოიქმნელება ანთების მედიატორები.


ნეფროზული სინდრომის გენეზში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისხლძარღვოვან განვლადობის ფაქტორებს. მათ შორის აღსანიშნავია T დიფიციტების მიერ გამოიქმნელებული კანის სისხლძარღვოვანი განვლადობის ფაქტორი. აღნიშნული მედიკატორის წარმოქმნის სისამღატორია ინტერლეუკინ-2. ციკლოსპორინი და სტეროიდები ახდენს კანის სისხლძარღვოვანი განვლადობის ფაქტორის სტრუქტურის ინჰიბირებას. გარდა ამისა, გამოყოფენ სისხლძარღვოვან ენდოთელურ ზრდის ფაქტორსა

(Vascular Endothelial Growth Factor - VEGF) და ჰეპარანს. VEGF რეცეპტორები განლაგებულია გლომერულების ენდოთელიუმსა და მეზანგიუმში. VEGF იწვევს პოდოციტების ფუნესტრაციას, რაც ხელს უწყობს პროტეინურიის განვითარებას. ჰეპარანი ჰეპარანსულფატის გლი კოზამინოგლიკანის დეგრადაციის გზით იწვევს გლომერულური სისხლძარღვოვანი კედლის ანთონური (უარყოფითი) ელექტრული მუხტის ცვლილებას, რაც თავის მხრივ აძლიერებს განვლადობას და შესაბამისად ხელს უწყობს პროტეინურიის განვითარებას.

ჰისტოლოგია

მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტის დიაგნოზი ისმება თირკმლის ბიოფტატის მორფოლოგიური კვლევის საფუძველზე. ბავშვებში თირკმლის ბიოფსია უმეტეს შემთხვევაში აუცილებელი არ არის და მას მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში მიმართავენ:


- არანეფროზული ხარისხის პერსისტული პროტეინურია;
- არტერიული ჰიპერტენზიის აღმოცენება;
- მაკროპროტეინურია;
- თირკმლის ფუნქციის დაქვეითება;
- პლაზმაში C3 კომპლემენტის დაქვეითება;
- ნეფროზული ხარისხის პროტეინურია 1 წლამდე და 11 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებში;
- 4 კვირის განმავლობაში პრედნიზოლონით მკურნალობის (ადეკვატური დოზებით!) მიუხედავად ნეფროზული ხარისხის პროტეინურიის პერსისტირება.



მ ც გ ნ - ი ს თ ე ი ს
და მა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი ა
სინათლის მიკროსკოპით
ნორმალური ჰისტოლოგიური
სურათი ზოგჯერ შეიძლება
გამოიხატოს მეზანგიური
უჯრედოვნების სუსტი
მატება. ნაწიბური,
ლეიკოციტური ინფილტრაცია,
ნეკროზი ან სხვა ამ სახის
ცვლილება, რომელიც
ზეგავლენას ახდენს

გორგლის სტრუქტურაზე, გამოიწვევს მინიმალური ცვლილებების გლომერულოპათიის დიაგნოზს.

ჩვეულებრივ, ბიოფტატის იმუნოჰისტოქიმიური კვლევა არ იძლევა რაიმე პათოლოგიურ სურათს. შეიძლება ადგილი ჰქონდეს მეზანგიუმში IgM-ისა და C3 კომპლემენტის მცირე რაოდენობით დაგროვებას. ასევე არ არის დამახასიათებელი ელექტრონულად მკვერივი ჩანარტები, რომელთა არსებობა გამოიწვევს მცგნ-ის დიაგნოზს.





სინათლის მიკროსკოპიისა და იმუნოჰისტოქიმიური კვლევისგან განსხვავებით, ელექტრონული მიკროსკოპიით მნიშვნელოვანი პათოლოგიური ცვლილებები ვლინდება. აღინიშნება პოდოციტების ფეხოვანი წანაზარდების გადასწორება და ეპითელური ციტოპლაზმის მიკროხაოვანი ტრანსფორმაცია. ფეხოვანი წანაზარდების გადასწორება დამახასიათებელია მცგნ-ისთვის და აუცილებელია ამ დაავადების პათოლოგიური დიაგნოზისათვის, თუმცა იგივე ცვლილებები გვხვდება ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული ნეფროზული ხარისხის პროტეინურიის დროს. აქედან გამომდინარე, მცგნ-ის დიაგნოზი დაისმება ამ ულტრასტრუქტურული ცვლილებების არსებობის შემთხვევაში მხოლოდ მას შემდეგ, რაც სინათლის მიკროსკოპიით, იმუნოჰისტოქიმიით ან ელექტრონული მიკროსკოპიით გამოირიცხება სხვა დაავადებებისათვის დამახასიათებელი

ცვლილებები.


კლინიკური სურათი

მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტი კლინიკურად ნეფროზული სინდრომით ვლინდება ანუ 24 საათიან შარდში ცილის დანაკარგი აღემატება 3.5-ზე. ჩვეულებრივ, პროტეინურია სელექტიური ხასიათისაა (სელექტიურობის ინდექსი < 0.2). სელექტიურობის ინდექსი შემდეგი ფორმულით გამოითვლება:


$$SI = \frac{\text{IgG შარდში}}{\text{IgG სისხლში}} \times \frac{\text{ტრანსფერინი სისხლში}}{\text{ტრანსფერინი შარდში}}$$

სელექტიურობის ინდექსის მიხედვით შესაძლოა სტეროიდებით მკურნალობის ეფექტურობის პროგნოზირება: თუ $SI < 0.2$, სტეროიდებით მკურნალობა ჩვეულებრივ მაღალეფექტურია, ხოლო თუ $SI > 0.2$ - მკურნალობის შედეგიანობის ალბათობა ეჭმევეს დგება.

შარდით ცილის დიდი რაოდენობით კარგვის შედეგად აღინიშნება პიპოპროტეინემია. შრატის ცილების ელექტროფორეზით მიიღება ნეფროზული სინდრომისათვის დამახასიათებელი პროტეინოგრამა - მკვეთრად გამოხატული პიპოალბუმინემია, α_2 გლობულინების მკვეთრი და β -გლობულინების ზომიერი მომატება, γ -გლობულინების დაქვეითება.



ნორმა



ნეფროზული სინდრომი

შეშუკება მცგნ-ის მთავარი კლინიკური გამოვლენაა, რომლის განვითარების ძირითადი მექანიზმი ალბუმინის კარგვით განპირობებული ონკოზური წნევის დაქვეითებაა. შეშუკება შეიძლება სხვადასხვა ინტენსივობით იყოს გამოხატული - დაწყებული

პერიორბიტული და ქვემო ციურების მსუბუქი შეშუპიდან ტოტალურ ანასარკამდე არსებობს მოსაზრება, რომ პიპოაღბუშინუმიასთან ურთად შეშუპების განვითარების მექანიზმში თირკმლის მიერ მარილისა და წელის პირველადი შეკავება; მონაწილეობს.

ნეფროზული სინდრომის განვითარების მექანიზმი

აღბუშინურია +
აღბუშინის ტუბულური
კატაბოლიზმი

↓
პიპოაღბუშინუმი

↓
ონკოზური წნევის
დაქვეითება

↓
სისხლის ეფექტური
მოცულობის შემცირება

↓
ნეიროჰუმორული სისტემის
გააქტივება
(აღს, ალოდსტერონის,
კატექოლამინების მომატება)

↓
მარილისა და წელის
მუორადი შეკავება

მარილისა და წელის
პირველადი შეკავება

↓
პლაზმის მოცულობის
გაზრდა

↓
კაპილარული მიდრა-
სტატიკური წნევის გაზრდა

წელის დაგროვება
ინტერსტიციუმში

↓
შეშუპება

ნეფროზული სინდრომის დროს აღბუშინთან ურთად სხვა ცილებიც იკარგება, მათ შორის სატრანსპორტო ცილები, იმუნოგლობულინები, ანტიორომბინ III და სხვა. ამ ცილების კარგვა სხედასხვა გართულებას იწვევს, რაც ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილშია მოცემული.

ნეფროზული სინდრომის დროს აღბუშინთან თრომბოციტოზური გართულებებისადმი მიდრეკილება, რაც კლინიკურად პაციენტთა დაახლოებით 10-40%-ში ვლინდება. მათგან

ცილა	მოლეკულური წონა	ფუნქცია	კარგის შედეგად გამოწვეული გართულება
ტრანსფერინი	90 000	რკინის ტრანსპორტი	რკინა-დეფიციტური ანემია
ვიტამინ D- შემაკავშირებული გლობულინი	59 000	D ₃ , 25(OH)D ₃ , 1,25(OH) ₂ D ₃ ტრანსპორტი	პიპოკალცემია, პიპერპარათირეოზი, ოსტეომალიცია
თიროქსინ- შემაკავშირებული გლობულინი	59 000	თიროქსინის ტრანსპორტი	ჟარიკლის პოროზების დაქვეითება
ანტიორომბინ - III	64 000	თრომბინის ინიბიტორი	თრომბოზული გართულებებისაკენ მიდრეკილება
IgG	160 000	კუმორული ანტიფაგოციტური ფაქტორი	ანტისხეულების დეფიციტი, ინფექციებისადმი მიდრეკილება

ხშირია თირკმლის ქვების თრომბოზი, ასევე სხვადასხვა ორგანოს არტერიული თრომბოზი. თრომბოზული გართულებებისადმი მიდრეკილებაში არტერიოშინი-III-ის დეფიციტთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ღვიძლის მიერ ფიბრინოგენისა და შუღვლების სხვა ფაქტორების გაზრდილი ხინთეზი. ასევე მნიშვნელოვანია თრომბოციტების აგრეგაციის გაძლიერება.

ნეფროზული სინდრომისათვის დამახასიათებელია მიპერლიპიდემია, მას საფუძვლად უდევს ღვიძლში ლიპოპროტეინების გაძლიერებული ხინთეზი. განსაკუთრებით გააქტიურებულია ძალიან დაბალი ხიმკრის ლიპოპროტეინების (VLDL) წარმოქმნა და მათი დაბალი ხიმკრის ლიპოპროტეინებად (LDL) გარდაქმნა. შეიძლება გარკვეულ როლს თამაშობდეს სისხლში ლიპოპროტეინებისა და ქოლესტეროლის შუკელება.

მცენ-ს შემთხვევათა დაახლოებით 30%-ში პროტეინურიასთან ერთად შეიძლება აღვითი პირობეს მიკროსპიკურია. მიკროსპიკურია ძალზე იშვიათია. არტერიული მიპერტენზია ბავშვებში იშვიათად გვხვდება, მიზრდილებში კი - შემთხვევათა 30%-ში.

მცენ წყულებრივ თირკმლის უკმარისობას არ იწვევს. კრეატინინისა და შარდოვანას მიმატება, როგორც წესი, სისხლსარღვშიდა მიპოვოლემის ფონზე განვითარებულ თირკმლის შვვავ უკმარისობაზე მიუთითებს და შექცევადი ხასიათისაა.

მეორადი მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტი

მცენ სხვადასხვა დაავადებების დროსაც ვითარდება, რომლებიც პირობითად შეიძლება 6 ძირითად კატეგორიად დაიყოს: ავთვისებიანი ხიმხინეები, მედიკამენტებით პროვოცირებული, ინფექციური დაავადებები, აღერცხული დაავადებები, თირკმლის სხვა დაავადებებთან ასოცირებული და სხვა იშვიათი შემთხვევები.

სხვადასხვა ავთვისებიანი ხიმხინეებიდან მცენ ძირითადად პოჯკინისა და არაპოჯკინური ლიმფომის დროს გვხვდება. რადიოლოგიური მეთოდებით ან ქიმიოთერაპიით ძირითადი დაავადების წარმატებული მეურნალობის შემთხვევაში მცენ უკუგანვითარებას განიცდის და პირიქით, ძირითადი დაავადების რუციდივს შეიძლება თან ახლდეს ზემოაღნიშნული გლომერულოპათიის გამწვავება. სავარაუდოდ, მცენ-ის პათოგენეზში უჯრედების იგივე კლონი მონაწილეობს, რომელიც პოჯკინის ლიმფომის განვითარებაზე პასუხისმგებელი. მცენ ასევე შეიძლება განვითარდეს ქრონიკული ლიმფოციტური ღვიკემიის, თიმომის, ბრონქოკარცინომის, ეადღენშტრემის მიკროგლობულინემიის და სხვა ავთვისებიანი დაავადებების შემთხვევაშიც.

მცენ ზოგჯერ ამა თუ იმ მედიკამენტის მიღებით არის განპირობებული. ასეთებია არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, ოქროს შუკველი პრეპარატები, პრობენეციდი, მეტამიზოლი, ღვითუმის პრეპარატები, ენალპრილი, პენიცილიამინი. მცენ-ის აღმოცენება ამ პრეპარატების პოვოციტებზე პირდაპირი ტოქსიური ზემოქმედებით აისხნება. მედიკამენტის მიღების შეწყვეტას წყულებრივ თან სდევს დაავადების უკუგანვითარება.

მცენ ზოგიერთი ინფექციური დაავადების - სიფილისი, ტუბერკულოზი, ან-ინფექცია, მიკოპლაზმა, ექსიოკო (მიტოქონდრიული ცისტა) და შიცოქსიამიაში - დროსაც გვხვდება. პირდაპირი პათოფიზიოლოგიური კავშირი ინფექციურ დაავადებასა და მცენ-ს შორის დადგენილი არ არის. სავარაუდოდ, აღნიშნული დაავადებების დროს აქტიურდება ლიმფოციტების ის ქვეკლასი, რომელიც მცენ-ის პათოგენეზში მონაწილე ციტოკინებს

გამოიშუშავენ.

მცენ ვითარდება სხვადასხვა აღერგული დაავადებების ფონზე. ამის დასტურია მცენ-ის დროს სისხლის შრატში IgE მატება, თუმცა IgE დეპოზიტები დაზიანებულ თირკმელში არ გვხვდება.

რაც შემთხვევებში მცენ ასოცირდება თირკმლის სხვა დაავადებასთან: IgA ნეფროპათია, ლუპუს-ნეფრიტი, დიაბეტური ნეფროპათია, თირკმლის აუტოსიმურ დომინანტური და რეცესიული პოლიციტური დაავადებები და სხვ.

ლიტერატურაში აღწერილია ერთეული შემთხვევები, როდესაც მცენ გამოვლინდა მასკულირებული ქოლანგიტის, სარკინოზის, აუტოსიმური თირუოიდის, შაბათინის დროს.

მკურნალობა:

მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტის მკურნალობა შედგება ნეფროზული სინდრომის სიმპტომური მკურნალობისა და დაავადების სპეციფიური მკურნალობისაგან. სიმპტომური თერაპია ტარდება როგორც პირველადი, ასევე მეორადი მცენ-ის დროს, ხოლო სპეციფიური მკურნალობა – მხოლოდ პირველადი მცენ-ის შემთხვევაში.

ნეფროზული სინდრომის სიმპტომური მკურნალობა გულისხმობს შეშუპების საწინააღმდეგო, თრომბოემბოლიური გართულებების საპრევენციო, ანტიჰელსტეროლულ ღონისძიებებსა და პროტეინურიის შესამცირებელ არასპეციფიურ მკურნალობას (ავფ ინჰიბიტორებით და/ან არ ბლოკერებით).

შეშუპების საწინააღმდეგო ღონისძიებები:

- მარილის მიღების შეზღუდვა (მარილის რაოდენობა დღე-ღამეში არ უნდა აღემატებოდეს 5,0 გ/დღეში);
- შარდმდენებით მკურნალობა.

დიურეზის მასტიმულირებელი საშუალებების გამოყენებისას აუცილებელია სიფრთხილე: სწრაფი ან ჭარბი დეიდრატაციის ფონზე ინტრავენალური სითხის შექცირების გამო შეიძლება განვითარდეს თირკმლის მწვე პრერენული უკმარისობა, გაიზარდოს თრომბოემბოლიური გართულებების რისკი, დაირღვეს ელექტროლიტური ბალანსი. შარდმდენებით თერაპიისას დაცული უნდა იქნას შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- მსუბუქი შეშუპების შემთხვევაში მხოლოდ კონსერტიკური მოხაზრებით შარდმდენების გამოყენება არ არის რეკომენდებული. შეშუპების გაღრმავების საპროფილაქტიკოდ წვეულებრივ უმარილო დიეტაც საკმარისია;
- შეშუპების არსებობისას შარდმდენების, წვეულებრივ მარწყვის შარდმდენები, გამოყენება ხშირად აუცილებელია. დოზირება ინდივიდუალურია: იწყება მცირე დოზით და შემდეგ ხდება მისი ტიტრაცია ეფექტური დიურეზის მიღწევამდე;
- საციურტის წონის კლება არ უნდა აღემატებოდეს 0.5-1 კგ-ს დღეში;
- შარდმდენით მონოთერაპიის უეფექტობის შემთხვევაში, ნატრიურეზის გაძლიერების მიზნით, რეკომენდებულია სხვადასხვა კლასის შარდმდენის (მაგ. მარწყვის შარდმდენისა და თიაზიდის) კომბინაცია;
- შეშუპების აღგების შემდეგ ხშირად შეხაძლებელია შარდმდენის დოზის შემცირება წონის კონტროლით;
- აუცილებელია სისხლში კალიუმის დონის კონტროლი. პიპოკალემიისაკენ

მიდრეკილების შემთხვევაში ნაწვენებია კომბინირებულ თერაპიაში კალიუმ-შემაჩველი შარდმდენის (ხანოროლაქტონი, ამილორიდი) ჩართვა;

- მხოლოდ შარდმდენების გამოყენებით დამაკმაყოფილებელი ეფექტის მოღწეულობის შემთხვევაში ნაწვენებია აღბუძინისა და ფუროსემიდის კომბინაცია. აღბუძინის გამოყენება პიკოაღბუძინემიის პირობებში ხელს უწყობს არა მარტო სისხლის ეფექტური მოციულობის გაზრდას, არამედ ფუროსემიდის ტრანსპორტირებას მისი მოქმედების ადგილამდე – პენლეს ასწრები მარევის მსხვილი ნაწილი.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ნეფროზული სინდრომის დროს საკმაოდ ხშირია თრომბოემბოლური გართულებები, რა შემთხვევაშიც აუცილებელია ანტიკოაგულაციური თერაპიის დაწყება (ჰეპარინი, არაპირდაპირი ანტიკოაგულანტები). თუმცა არ არის ცალსახად განსაზღვრული, თუ რა დროს უნდა მოხდეს ანტიკოაგულანტებით ხანგრძლივი პროფილაქტიკური თერაპია. ის ნაწვენებია მითითადად შემდეგ შემთხვევებში:

- თრომბოზის და/ან ემბოლიის გადატანილი ეპიზოდები;
- სისხლში აღბუძინის დონე < 20 გ/დ;
- ანტითრომბინ-III დაქვეითება $<$ ნორმის 70%;
- მკვეთრად გამოხატული შეშუპება შარდმდენებით მკურნალობის დაწყებამდე.

ანტიკოაგულური თერაპია ნეფროზული სინდრომის დროს ორ მიზანს ისახავს: გუპერაღიზიებული ათეროსკლეროზის განვითარების პროფილაქტიკა და პიკერლიპიდემიით გამოწვეული გლომერულური დაზიანების შეფერხება. პიკერლიპიდემიის პროფილაქტიკა და მკურნალობა გულისხმობს:

- ქოლესტერინით ღარიბ დიეტას;
- HMG-CoA რედუქტაზას ინჰიბიტორების ხანგრძლივ გამოყენებას (რადიომიოლიზის რისკის გამო - კრეატინინიზას კონტროლით).

მკენ-ის დროს ისევე, როგორც ნებისმიერი გენეზის ნეფროზული სინდრომის შემთხვევაში, ნაწვენებია მედიკამენტურ თერაპიაში აგუ-ინჰიბიტორების და/ან ანგიოტენზინ 2 რეცეპტორის ბლოკერების ჩართვა. ეს მედიკამენტები შემდეგი მოქმედებით ხასიათდებიან:

- სისტემური არტერიული წნევის დაქვეითება;
- ეფერენტული სისხლძარღვის დილატაციის გზით გლომერულური ფილტრაციის წნევის შემცირება და შესაბამისად პროტეინურიის ხარისხის კლება;
- ანგიოტენზინული მოქმედება.

მკენ-ის სპეციფიური მკურნალობა უპირველეს ყოვლისა კორტიკოსტეროიდებით თერაპიას გულისხმობს. მკენ თირკმლის პრაქტიკულად ქრონულური დაავადებაა, რომელიც ხეველებრივ კარგად ემორჩილება სტეროიდებით მონოთერაპიას. სტეროიდებით მკურნალობის სხვადასხვა სქემები არსებობს. ერთ-ერთი გაერცხლებული სქემაა მკურნალობის დაწყება პრედნიზოლინით 60 მგ/მ დღეში - 4-6 კვირის განმავლობაში; შემდეგ დოზის შემცირება 40მგ/მ-მდე ყოველ მეორე დღეს - შემდგომი 4-6 კვირის განმავლობაში; ამის შემდეგ ხდება დოზის კლება დაახლოებით კვირაში 0.1 მგ/კგ-ით. მოზრდილებში ხშირად მიმართავენ ალტერნატიულ სქემას: 1 მგ/კგ წონაზე დღეში - 8-12 კვირის განმავლობაში, შემდეგ 0.5 მგ/კგ - შემდგომი 6-8 კვირის განმავლობაში, მომდევნო 8 კვირის განმავლობაში დოზის შემდგომი შემცირებითა და თერაპიის დასრულებით.

ზემოთ მოყვანილი მკურნალობის სქემები პირობითია და ყველა ცალკეულ შემთხვევაში სტეროიდის დოზირების საკითხი ინდივიდუალურად წდება.

მცენ-ის სტეროიდებით მონოთერაპია უმეტეს შემთხვევაში ეფექტურია: ბავშვებში შემთხვევათა 90%-ზე მეტში სრული რემისია 8 კვირის განმავლობაში დგება, მათ შორის 80%-ში – პირველი 4 კვირის განმავლობაში. მოზრდილებში ეს მანუერებული შედარებით დაბალია – 75-85%, თუმცა მკურნალობის 16 კვირამდე გაგრძელების შემთხვევაში ის მნიშვნელოვნად მატულობს.

რაც შეეხება მცენ-ის მკურნალობაში ალტერნატიული მედიკამენტების გამოყენებას, ის შეიძლება საჭირო გახდეს შემდეგ შემთხვევებში:

- ხშირად მორეციდივე ნეფროზული სინდრომი (2 რეციდიზე მეტი 6 თვეში ან 4 რეციდიზე მეტი წელიწადში);
- სტეროიდდამოკიდებულ ნეფროზული სინდრომი (რეციდივი ვითარდება სტეროიდით მკურნალობის შეწყვეტიდან 14 დღეში);
- სტეროიდრეზისტენტული ნეფროზული სინდრომი (პრეტენიურის პერსისტირება ბავშვებში 8 კვირიანი, ხოლო მოზრდილებში 12 კვირიანი მკურნალობის მოუხედავად).

ხშირი რეციდივების, სტეროიდდამოკიდებულებისა და სტეროიდრეზისტენტობის შემთხვევებში ჩვეულებრივ გამოიყენება მაღალკალიზებული ციტოსტატიკები (ციკლოფოსფამიდი ან ქლორამბუცილი) ან ციკლოსპორინი. ციკლოფოსფამიდით (2-3 მგ/კგ დღეში) ან ქლორამბუცილით (0.1-0.2 მგ/კგ დღეში) მკურნალობა 8-12 კვირის განმავლობაში სტეროიდდამოკიდებულების შემთხვევათა 50-60%-ში ხანგრძლივ ან მეტ რემისიას იწვევს. ციტოსტატიკებით მკურნალობისას რეკომენდებულია ლეიკოციტების ყოველკვირეული კონტროლი მისიმ ლეიკოპენიის თავიდან ახაცილებლად. სხვა გვერდითი ეფექტებიდან აღსანიშნავია პნომოკოკული ციხტიტი, გასტროინტესტინური დარღვევები, ალოპეცია, ხანგრძლივ დროით ციკლოფოსფამიდითა და ქლორამბუცილით მკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს ავთვისებიანი სიმსივნის, ფილტვებისა და საკვერცხვების ფიბროზი და მამაკაცებში უნაყოფობის განვითარება. უნაყოფობის პროფილაქტიკა შესაძლოა გონადოტროპინ რილისინგ პორმონის ანალოგებით – მაგ. 3,75 მგ D-TRP6-GnRH ინტრამუსკულარულად თვეში ერთხელ.


ბოლო ათწლეულში მცენ-ს სამკურნალოდ ფართო გამოყენება პიოკი ტრანსპლანტაციაში დამკვიდრებულმა პრეპარატმა - ციკლოსპორინ A. ის ინიშნება 4-6 მგ/კგ 6-12 თვის განმავლობაში. თერაპიული ეფექტის მისაღწევად და ამჟღავნებულ ნეფროტოქსიურობის თავიდან ასაცილებლად ციკლოსპორინით მკურნალობისას სისხლში მისი კონცენტრაცია 100-200 ნგ/მლ ფარგლებში უნდა მერეოდეს. პროტენურის ხარისხის შემცირება 2-3 თვეშია მოხალოდნელი, თუ ციკლოსპორინის 3 თვიანი კურსის მოუხედავად პროტენურია არ მცირდება, ნეფროზული სინდრომი ციკლოსპორინრეზისტენტულად ითვლება. ციკლოსპორინის გვერდითი ეფექტებიდან მნიშვნელოვანია ნეფროტოქსიურობა, ამიტომ თუ თირკმლის გორგლოვანი სინჯარე < 80 მლ/წთ, ციკლოსპორინით მკურნალობის დაწყება არ არის მიზანშეწონილი. ნეფროტოქსიურობის გარდა ციკლოსპორინის გვერდითი ეფექტებიდან აღსანიშნავია: პიპერტენზია, პიპერკალემია, პიპერტრიქოზი, ღრძილების პიპერტროფია და პიპომაგნემია.

რაც შეეხება მცენ-ს სამკურნალოდ დღევანდელი გამოყენება: 2,5 მგ/კგ ყოველ მეორე დღეს 6 თვის განმავლობაში. ის შეიძლება ამცირებდეს სტეროიდდამოკიდებულ ნეფროზული სინდრომის რეციდივთა სიხშირეს, თუმცა ლიტერატურის სხვადასხვა წყაროში ამ მედიკამენტის ეფექტურობის შესახებ ურთიერთგამომოწიხევი მონაცემებია. დღევანდელის გვერდითი ეფექტებია: აგრანულოციტოზი, ნეიტროპენია, დებინება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებისა, განიდა მონაცემები მცენ-ს სამკურნალოდ

მიკოფენოლატ-პოფენიდილისა და ტაკროლიმუსის გამოყენების შესახებ, თუმცა ამ დაავადების საკმარისად მათი გამოყენება ჯერ კიდევ შესწავლის ფაზაშია.

მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტის მკურნალობის ალგორითმი



პროგნოზი

მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტით დაავადებულ პაციენტთა 30%-ში რეციდივი არ ვითარდება ანუ სტეროიდებით მკურნალობის ურთაღმართო კურსის შემდეგ მიიღწევა მკარი რემისია; პაციენტთა 10-20%-ში მკარი რემისია ხანგრძლივ ან ოთხჯერადი რეციდივის მკურნალობის შემდეგ დგება; ხოლო პაციენტთა 40-50%-ში დაავადება მორეციდივე მიმდინარეობით ხასიათდება და არც თუ იშვიათად ვითარდება სტეროიდდამოკიდებულება ან ხშირად მორეციდივე ნეფროზული სინდრომი.

დახაწვისში სტეროიდსენსიტიური პაციენტების 2-3%-ში მხოლოდ რამდენიმე წლის (უფრო ხშირად 10 წლის) შემდეგ ვითარდება სტეროიდრეზისტენტული ნეფროზული სინდრომი, რომელიც კარგად ემორჩილება სხვა პრეპარატებით (ციკლოფოსფამიდი, ციკლოსპორინი) მკურნალობას. ამ ჯგუფის დაახლოებით 1%-ში მოხადიდნელოა თირკმლის ქრონიკული დაავადების ჩამოყალიბება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alex M. davison, JStewart Cameron, Jean-Pierre Grunfeld, Claudio Ponticheli, Eberhard Ritz, Cristopher G. Winearls, Charls van Yperlele. **Oxford Textbook of Clinical Nephrology**, 2005.
2. B. Grabensee. **Neprologie**, 2002.
3. Ulrich Kulmann, Dieter Walb, frierich C. Luft. **Nephrologie**. Pathophysiologie-Klinik-Nierenersatzverfahren. *Georg Thieme Verlag, Stuttgart-new York*.
4. Nephrology, Dialysis, Transplantation. 2003.vol.18. Minimal Change Disease, Fokal Segmental glomerular Sclerosis and Proteinuria.

ანტიკოაგულაცია ხანგამოშვებითი და უწყვეტი პემოდიალიზის დროს

სისხლის ექსტრაკორპორული წმენდის ნებისმიერი მეთოდის შემთხვევაში სისხლისა და უცხო სხეულის კონტაქტი იწვევს როგორც თრომბოციტების ადჰეზიასა და აგრეგაციას, ასევე შედეგების ენდოგენური სისტემის კასკადის გააქტიურებას XII, XI, IX, VIII ფაქტორების გზით ფაქტორ X-მდე პროთრომბინიდან ხდება თრომბინის წარმოქმნა, რომელიც, თავის მხრივ, ფიბრინოგენს ფიბრინად და ფიბრინოპეტიდ A-დ გარდაქმნის, აღნიშნული პროცესები განაპირობებენ ექსტრაკორპორულად მოცირკულირე სისხლში თრომბის წარმოქმნას, რამაც ადჰეპატური ანტიკოაგულაციის გარეშე შეიძლება სისტემის სრულ წათრომბვა გამოიწვიოს.

სტანდარტული ანტიკოაგულაცია არაფრაქციონირებული პეპარინით

პეპარინი პემოდიალიზის პროცესში დღემდე ყველაზე ხშირად გამოყენებული ანტიკოაგულანტია. ის უკავშირდება სისხლში მოცირკულე ანტითრომბინ-III-ს და იწვევს მისი აქტივობის გაზრდას, როგორც ცნობილია, ანტითრომბინ-III წარმოადგენს ქლოგენურ ანტიკოაგულანტს, რომელიც ახდენს თრომბინის, IXa, XIa და XIIa ფაქტორების ინაქტივაციას. ინტრავენური შეყვანისას პეპარინის მოქმედება პრაქტიკულად მყისიერად იწყება.

არსებობს დიალიზის მსველელობისას პეპარინის გამოყენების ორი – ხანგამოშვებითი და უწყვეტი მეთოდი. ხანგამოშვებითი მეთოდის შემთხვევაში საწყისი ბოლუსური დოზის - 2.500-5.000 სე (50 სე/კგ) ინექციის შემდეგ ხდება პეპარინის ბოლუსების განმეორებითი შეყვანა დროის გარკვეული შუალედებით. უწყვეტი მეთოდი გულისხმობს ბოლუსის შემდეგ პეპარინის მუდმივ ინფუზიას გარკვეული სიჩქარით – დაახლოებით 500-2.500 სე/სთ.

პეპარინის დოზის შერჩევა და კორექცია ინდივიდუალურად უნდა ხდებოდეს, ის მრავალ ევზოგენურ და ენდოგენურ ფაქტორზეა დამოკიდებული, როგორცაა პროცედურის ხანგრძლივობა, გამოყენებული სადიალიზო მასალის თვისობრივი მახასიათებლები, სისხლის ნაკადისა და ულტრაფილტრაციის სიჩქარე, პაციენტის შედეგების სისტემის თავისებურებები, თანმხლები დაავადებები, მიღებული მედიკამენტები და ა.შ. არასაკმარისი პეპარინიზაცია დიალიზატორის ფორებში ფიბრინის ნალაგებას იწვევს, რასაც შეიძლება დიალიზის ეფექტურობის შემცირება ან მთელი ექსტრაკორპორული სისტემის დათრომბის გამო სისხლის კარგავც კი მოაქვეყნებდეს დოზის გამოყენება ზრდის პემოდიატული გართულებების რისკს.

პეპარინის დოზის საკონტროლოდ “ოქროს სტანდარტი” შედეგების აქტიური დროის – ACT (Active Clotting Time) განსაზღვრა. ამ მანქნებდის ნორმაა 120-150 წმ. პემოდიალიზის მსველელობისას პეპარინის დოზა ითვლება ადჰეპატურად, თუ ACT 60-80%-ით აღემატება საწყის მანქნებდელს (ე.ი. 200-250 წმ). აღტერნატიულად შეიძლება აქტივირებული პარციალური პროთრომბინის დროის (აპთდ – aPTT) განსაზღვრა, რომელიც შესაბამისი პეპარინიზაციის ფონზე საწყის მანქნებდელზე 30-60 წმ-ით მეტი უნდა იყოს.

პეპარინის გამოყენებამ სისხლდენის რისკის გაზრდის გარდა შეიძლება სხვა გართულებებიც გამოიწვიოს, რომლებიც ნეკროზებზე დოზირებაზე დამოკიდებული არ არის:

- აღორგოვლი რეაქციები (ქავილი, ქირჭრის ცემა, ბროჩოსკოპიაში, ძალიან იშვიათად – ანაფილაქსია);
- თმის ცვენა;
- ღოპიდური ცუდის დარღვევები;
- ოსტეოპოროზი;
- პრიაპიზმი;
- აქპარინთან ახორცებული თრომბოციტოპენია (მათ).

